

2020-2021 წლის კონსოლიდირებული აუდიტის მომსახურების
ტექნიკური დავალება

- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი მე-6 მუხლის თანახმად შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ წარმოადგენს I კატეგორიის საწარმოს;
- კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ქ.თბილისში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M3კატეგორიის ავტობუსებით და საბაგირო გზით "რიყე-ნარიყალა" და "ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა" მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება.
- კომპანიის ძირითადი საქმიანობა განსაზღვრულია საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულირებად ეკონომიკურ სფეროდ.
- კომპანიის შემოსავალის ძირითად ნაწილის სწორედ საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა მომსახურებიდან მიღებული თანხები წარმოადგენს, ხოლო სხვა შემოსავლებს მიეკუთვნება: ქონების იჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავლები, საწარმოს ნაგებობებსა და გვირაბებში სხვა იურიდიული პირების კუთვნილი ოპტიკური და სპილენძის კაბელების გატარებიდან მიღებული შემოსავლები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების სისტემის მართვიდან მიღებული შემოსავლები.
- კომპანიაში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ხდება ელექტრონულად, მაქსიმალური ანალიტიკით, საბუღალტრო პროგრამა SuperFin-ში;
- საწარმოს დოკუმენტების 90-95 % არის ელექტრონული, რაც აადვილებს სრულყოფილი ანალიზის და აუდიტის ჩატარების პროცესს. საწარმოს ფაქტობრივად არ გააჩნია ნაღდი ფულის მოძრაობა, ოპერაციები ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით (იშვიათი გამონაკლისის გარდა).

აუდიტორული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- მომსახურება უნდა განხორციელდეს - საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, საქართველოში მოქმედი სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების, დებულებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად.
- წარმოდგენილი ფასები მოცემული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში და მოიცავდეს მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს;
- პრეტენდენტი რეგისტრირებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.saras.gov.ge
- კომპანიას ქონდეს სულ მცირე 1 წლის სატრანსპორტო ინდუსტრიაში ოპერირებადი კომპანიის აუდიტის გამოცდილება;
- გარიგების გუნდში წარმოდგენილი იყოს სულ მცირე 4 Association of Chartered Certified Accountants – “ACCA” სერტიფიცირებული წევრი;
- გარიგების გუნდში წარმოდგენილი იყოს სულ მცირე 2 სერტიფიცირებული საჯაროს სექტორის აუდიტორი სერტიფიცირებული სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ;
- გარიგების გუნდში წარმოდგენილი იყოს სულ მცირე 2 სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი სერტიფიცირებული საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ;
- გარიგების პარტნიორს გააჩნდეს სულ მცირე 1 წლის სატრანსპორტო ინდუსტრიაში ოპერირებადი კომპანიის საერთაშორისო აუდიტის გამოცდილება.
- პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს რისკების დაზღვევის პოლისი არანაკლებ 250'000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარზე (წარმოსადგენია შესაბამისი დოკუმენტი).
- პრეტენდენტს 2017, 2018 და 2019 წლების განმავლობაში, თითოეულ წელს ჯამურად უნდა ჰქონდეს განხორციელებული არანაკლებ 3,000,000 (სამი მილიონი) ლარის ღირებულების მომსახურება ფინანსური ანგარიშგების აუდიტს მომსახურების კუთხით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე მითითებული ინფორმაციის მიხედვით - www.saras.gov.ge.
- მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2